ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები

ავტორი: ქეთევან ქობალია

მეცნიერული ტექნოლოგიების არნახულმა განვითარებამ, გონებრივი შრომის გაფართოებამ და ფიზიკურ დატვირთვათა გამუდმებულმა ზრდამ თავისთავად მიიყვანა კაცობრიობა ცხოვრების ჯანსაღი წესის შენარჩუნების აუცილებლობამდე. ასეთ პირობებში, ცხადია, განუზომლად იზრდება სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის როლი და დანიშნულება. ამთავითვე ვიტყვით: პირველ ყოვლისა, მისი მოღვაწეობა შემოქმედებითი, არასტანდარტული ხასიათისა უნდა იყოს, იგი უნდა ფლობდეს სწავლების თანამედროვე, ინოვაციურ მეთოდებს და, ამასთან, განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდეს საკუთარი პროფესიული ოსტატობის სრულყოფაზე.
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მოსწავლეთა აღზრდა ფიზიკური სიჯანსაღისადმი სწრაფვის სულისკვეთებით, ვინაიდან სწორედ ეს განაპირობებს ფიზიკური აქტივობისადმი დადებითი, ჰარმონიული დამოკიდებულების გამომუშავებას, რაც საბოლოოდ ადამიანის ცხოვრების წესად უნდა იქცეს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის საქმიანობის

თავისებურებანი

სხვა სპეციალობის მასწავლებლებისაგან განსხვავებით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი სპეციფიკურ პირობებში მუშაობს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამ პირობებს სამ ჯგუფად ყოფენ, თავად ჯგუფები კი ყალიბდება ფსიქოლოგიური დაძაბულობის, ფიზიკური დატვირთვისა და გარემო პირობებთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებით. განვიხილოთ ისინი უფრო კონკრეტულად:

ფსიქოლოგიური დაძაბულობის ფაქტორები:

Ø მოსწავლეთა ჟრიამული (განსაკუთრებით უმცროსკლასელთა მეცადინეობებისას), რომელიც გამოირჩევა წყვეტილობით, მაღალი ტონალობით, ზოგჯერ შეკივლებებითაც; ეს მასწავლებელს ძაბავს, ამის გამო ის ადვილად იქანცება;

Ø გაკვეთილების მონაცვლეობის გამო ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეზე ხშირი გადართვა;

Ø სამეტყველო აპარატის (უმთავრესად სახმო სიმების) მნიშვნელოვანი დატვირთვა;

Ø პასუხისმგებლობა მოსწავლეთა დაზიანების თავიდან აცილებაზე (იგულისხმება ფიზიკური ვარჯიშების შესრულებისას ტრავმის მიღების საფრთხე).

ფიზიკური დატვირთვის ფაქტორები:

Ø ფიზიკური ვარჯიშების ჩვენების აუცილებლობა;

Øფიზიკურ მოქმედებათა შესრულება მოსწავლეებთან ერთად (განსაკუთრებით ლაშქრობებისას);

Øმოსწავლეთა მიერ ფიზიკური ვარჯიშების შესრულებისას მათი დაზღვევის საჭიროება.

გარემო პირობებთან დაკავშირებული ფაქტორები:

Øიგულისხმება ამინდი და კლიმატური პირობები (სპორტულ მოედანზე, ეზოში მეცადინეობების ჩატარებისას);

Øსპორტული დარბაზების, კლასების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

მუშაობის ზემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს არ უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის პრობლემები, ის "მუდმივად ფორმაში უნდა იყოს". ამასთან, უპრიანია, დაჯილდოებული იყოს სწრაფი აზროვნების, ესთეტიკური აღქმის, ორგანიზატორული და, განსაკუთრებით, კომუნიკაციური უნარებით. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის გამორჩეულ მახასიათებლებად მიჩნეულია: დაკვირვებულობა, მოთმინება, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, თანაგრძნობა, სიმპათიისა და ემპათიის გამოვლენა, მოსწავლეების განწყობათა წვდომა, მათი ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების უნარი.

სპეციალური ცოდნა

სპეციალური ცოდნა, რომელსაც იყენებს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, თეორიული, პრაქტიკული და მეთოდიკური ხასიათისაა.

თეორიული ცოდნა მოიცავს ფიზიკური კულტურის ისტორიას, ადამიანის ორგანიზმის ქმედითუნარიანობის კანონოზმიერებების, მოძრაობათა შესრულების ბიომექანიკური დინამიკის, აღზრდისა და სწავლების პრინციპების და სხვა საკითხებს. ესაა იმ ცოდნის კომპლექსი, რომელიც სჭირდება მასწავლებელს ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის და პასუხებისათვის არცთუ იშვიათად დასმულ კითხვაზე – "რატომ?"

პრაქტიკულ ცოდნას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, იყენებს იმისათვის, რომ თვალნათელი გახადოს, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს ესა თუ ის ვარჯიში.

მეთოდიკური ცოდნა საჭიროა იმისთვის, რომ მასწავლებელმა განმარტოს ზოგადი წესების, რთული ხერხების დაძლევა-შესრულების ტექნიკა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ თავისებურებას, კერძოდ, საკუთრივ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ოპერატიულობას. ყოველდღე უამრავი ადამიანი, მათ შორის არაერთი მოზარდი, თვალყურს ადევნებს სპორტულ გადაცემებს. ის, რასაც მოსწავლეები თვალნათლივ ხედავენ და აღიქვამენ, განსაკუთრებით კი საერთაშორისო შეჯიბრებები, მათ დაუოკებელ, ცოცხალ ინტერესს იწვევს. მასწავლებელი, რომელსაც შეიძლება ასეთი გადაცემები გამორჩეს, მათ ნდობას უმალვე დაკარგავს, მით უფრო, თუ იგი წამოჭრილ

კითხვებს ვერ უპასუხებს. სწორედ ამიტომ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს სპორტულ გადაცემებს, რეგულარულად უნდა ეცნობოდეს სპორტული ინფორმაციის შემცველ საიტებს, ჟურნალ-გაზეთებს, სხვა წყაროებს.

მასწავლებლის პედაგოგიური სტილი

განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციებმა, მასწავლებლის პროფესიული ოსტატობისადმი მოთხოვნების გაზრდამ, ცხადია, გააძლიერა არა მარტო მისი პასუხისმგებლობა, არამედ წარმოშვა მისივე შემოქმედებითი შესაძლებლობების მეტი რეალიზაციის სურვილიც. ასე რომ, საჭიროდ ითვლება პედაგოგის ინდივიდუალური სტილის დადებითი თავისებურებების გამოკვეთაც. თანამედროვე ფსიქოლოგიაში უკვე დამკვიდრდა პედაგოგიური საქმიანობის ინდივიდუალური სტილის ცნება. იგი გათანაბრებულია ცალკეული პიროვნების მოღვაწეობასთან დაკავშირებული ეფექტური ხერხებისა და, ზოგადად, შესაძლებლობის გამოყენების წარმოჩენასთან, თუ გნებავთ, მის ნიჭიერებასთანაც. ინდივიდუალური სტილის ფორმირებას, როგორც წესი, განაპირობებს ადამიანის მიდრეკილება მისი საქმიანობის, მოღვაწეობის ისეთი თავისებურებებისადმი, რომლებიც მხოლოდ მას ახასიათებს. სტილის ასეთ ფორმირებას სტიქიურსაც უწოდებენ.

არსებობს მოღვაწეობის ინდივიდუალური სტილის ჩამოყალიბების შეგნებულად მიზანმიმართული გზაც. ასეთ შემთხვევაში, ითვალისწინებენ პიროვნებას, ინდივიდის სუსტ და ძლიერ მხარეებს, მის ტიპოლოგიურ თავისებურებებს. ადამიანს განსაზღვრავენ ან მისი ღრმა თვითშემეცნების უნარით, ანდა მასზე გარეგანი მიზანმიმართული ზემოქმედების ეფექტიანობის შესაძლებლობებით (იგულისხმება გამოცდილი პედაგოგის ჩარევა-დახმარება). სტილის ფორმირების ეს გზა ითვალისწინებს პიროვნების, მისი ფსიქიკური თავისებურებებისა და თვისებების ადაპტირებას მისსავე პროფესიულ საქმიანობასთან, მაღალკვალიფიციური მოღვაწეობის მოთხოვნებთან. ამ გაგებით, ინდივიდუალური სტილი შეიძლება ჩამოყალიბდეს ამა თუ იმ პიროვნების ავტორიტეტის საფუძველზეც, ამასთან, ეს პიროვნება შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ ეტალონადაც.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პედაგოგიური

მუშაობის მიმართულების მახასიათებლები

პედაგოგიური მუშაობის მიმართულება – ეს, უპირველესად, არის ადამიანის, სუბიექტის მყარი მისწრაფება პედაგოგიური მოღვაწეობისადმი.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პედაგოგიურ მიმართულებას საფუძვლად უდევს ორი უმთავრესი მოტივი – ბავშვების სიყვარული და ფიზიკური კულტურისადმი ინტერესი.

ბავშვების სიყვარული განაპირობებს ბავშვებთან მუშაობის სურვილს, მასწავლებლის სწრაფვას, აქციოს ისინი ფიზიკურად და სულიერად განვითარებულ, განათლებულ ადამიანებად. აქედან გამომდინარე, პედაგოგიური მოღვაწეობა, უმთავრესად, მოტივირებულია ბავშვების სიყვარულით. მართლაც, კარგი მასწავლებელი ვერასოდეს

გახდება ის, ვინც გულგრილად ეკიდება საკუთარ მისიას. ბავშვებიც ხომ შეუცდომლად საზღვრავენ, ვის უყვარს ისინი და ვის – არა.

ფიზიკური კულტურისადმი ინტერესი ფიზიკური აღზრდის სპეციალობის არჩევის ერთ-ერთი ძირითადი მოტივია. ესაა ის ბერკეტი, რომლითაც მჟღავნდება ფიზიკური აღზრდის ჭეშმარიტი მსახურის პედაგოგიური მიდრეკილება, სწრაფვა შესაბამისი სამასწავლებლო საქმიანობისადმი. დროთა განმავლობაში ეს მისი ცხოვრების აზრი ხდება. არჩეული საქმისადმი სიყვარული სტიმულს აძლევს პედაგოგს, მუდმივად სრულყოფდეს თავის ოსტატობას. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები გრძნობენ, რომ მასწავლებლისათვის გაკვეთილების ჩატარება მძიმე ვალდებულება კი არ არის, არამედ საპატიო და სახალისო მოვალეობაა და თვითონაც ასეთივე განწყობით ეკიდებიან მეცადინეობებს.

პედაგოგიური საქმიანობის უნარები

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიული ოსტატობა დიდწილად განსაზღვრავს მისი პედაგოგიური საქმიანობის წარმატებებს. მასწავლებლის ოსტატობას კი განაპირობებს:

§დიდაქტიკური საქმიანობის ნიჭი. ესაა უნარი, ისე ჩამოაყალიბო შესასწავლი მასალა და გადასცე მოსწავლეებს, რომ იგი მათთვის რაც შეიძლება მისაწვდომი იყოს. მასწავლებელს უნდა შეეძლოს ამ მასალის რეკონსტრუირება, ადაპტირება, ძნელის ადვილად, რთულის მარტივად, გაუგებრის გასაგებად წარმოჩენა;

§აკადემიური კვლევა-ძიების ნიჭი. ესაა მეცნიერების გარკვეული დარგის (სასწავლო საგნის) წვდომა-დაუფლების უნარი. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი უნდა ფლობდეს თავის საგანს არა მარტო სასწავლო კურსის მოცულობით, არამედ გაცილებით ფართოდ და ღრმად;

§პერცეფციის, აღქმის უნარი. ესაა მოსწავლის შიდა, სულიერი სამყაროს წვდომის შესაძლებლობა, რაც მიიღწევა ფსიქოლოგიური დამკვირვებლობით, მოსწავლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის, მისი პიროვნული განცდების გაგება-შეცნობით;

§მეტყველების ნიჭი. ესაა უნარი, ნათლად და მკაფიოდ გამოხატო შენი აზრი, საკუთარი განცდები როგორც საუბრით, ისე მიმიკისა და ჟესტების მეშვეობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ეს გააკეთოს გარკვეული ძალისხმევით და დამაჯერებლად, ისე, რომ დაინტერესოს მოსწავლეები იმით, რის თქმა-გადმოცემასაც ცდილობს;

§ორგანიზაციული ნიჭი. ეს, ჩვენს შემთხვევაში, არის მოსწავლეთა ჯგუფის ჩამოყალიბების უნარი, იმის შესაძლებლობა, რომ განაწყო ისინი სასწავლო ამოცანათა გადასაწყვეტად. გარდა ამისა, პედაგოგს უნდა ხელეწიფებოდეს ამისათვის საკუთარი თავის მობილიზებაც;

§კომუნიკაციის ნიჭი მჟღავნდება მოსწავლეებთან ურთიერთობების დამყარებისას, ეს არის უნარი, ადვილად გამონახო მათ გულებთან მისასვლელი გზები, შეარჩიო სწორი მიდგომები, პედაგოგიური საქმიანობისათვის მიზანშეწონილი დამოკიდებულებები;

§პედაგოგიური წარმოსახვა. ესაა მასწავლებლის უნარი, გაითვალისწინოს მოსწავლეებზე პედაგოგიურ ზემოქმედებათა შედეგები, წინასწარ განჭვრიტოს, "რისგან რა გამოვა", ამოიცნოს, რა სიკეთე შეუძლია გამოავლინოს ამა თუ იმ მოსწავლემ.

§ყურადღების განაწილების ნიჭი. ესაა უნარი, გაანაწილო ყურადღება პარალელურად მიმდინარე სხვადასხვაგვარ აქტივობებს შორის. მაგალითად, მასწავლებელი ვალდებულია, ერთდროულად აქცევდეს ყურადღებას სასწავლო მასალის გადმოცემის ფორმასაც და შინაარსსაც. ამავე დროს მან უნდა გამოთქვას თავისი შენიშვნებიც და მოსაზრებებიც, მხედველობის არეში უნდა ჰყავდეს ყველა მოსწავლე, უნდა რეაგირებდეს მათ ქცევაზე, ამჩნევდეს მათ დაღლილობას, ახსნილი მასალის წვდომის ხარისხს და ა. შ.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიონალიზმის

მნიშვნელოვანი მახასიათებლები

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მაღალი პროფესიონალიზმის მაჩვენებელი მახასიათებლები შეიძლება დანაწილდეს შემდეგ ჯგუფებად: ზნეობრივი, კომუნიკაციური (იგულისხმება პედაგოგიური ტაქტიც), ნებელობითი, ინტელექტუალური (აღქმის, ყურადღების გამახვილების უნარი), მნემური (მეხსიერების ხარისხი), მამოძრავებელი (ფსიქომოტორული). ამ პროფესიული მახასიათებლებისაგან განუყოფელია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნული მახასიათებლებიც: კარგი ფიზიკური ჯანმრთელობა; თვინიერი, გაწონასწორებული ხასიათი; ინიციატივიანობა; ცოდნის გამდიდრება-შევსების სურვილი; მოწესრიგებული, სამაგალითო ქცევა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ავტორიტეტი

პედაგოგიურ საქმიანობაში წარმატების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის ავტორიტეტს. თუ მას მოსწავლეებში მაღალი ავტორიტეტი აქვს, შეუძლია ადვილად მოახდინოს მათზე კეთილისმყოფელი ზეგავლენა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ავტორიტეტი რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, რომელთაგან უმთავრესია:

Øფიზიკური კულტურის სფეროში გათვითცნობიერება, სპორტული უნარ-ჩვევების ჯეროვანი მარაგი. მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი, როგორც სპორტსმენის, სტატუსი (ცხადია, მასწავლებლობამდე);

Øფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი მუდამ უნდა რჩებოდეს მოსწავლეთა უფროს მეგობრად, დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტად;

Øმის ავტორიტეტს – მასწავლებლის, როგორც პედაგოგის (ფართო გაგებით) სტატუსს – უნდა ავსებდეს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ცოდნა-ჩვევები;

Øმაღალზნეობრიობა ავტორიტეტის გარანტიაა. მასწავლებლის ავტორიტეტი, სხვადასხვა დადებით თვისებასთან ერთად, შესაფერის გარეგნულ ქცევასა და იმ ზნეობრივი შინაარსს უკავშირდება, რომელიც, ზოგადად, მასწავლებლის ყველა ქმედებას უნდა ახლდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტები, ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე, მაღალი ავტორიტეტის მქონე მასწავლებლის სურათს წარმოგვიდგენს. ამასთან, რა თქმა უნდა, მასში შეიძლება წინ წამოწეული იყოს ესა თუ ის კომპონენტი. ეს ხელს არ შეუშლის მასწავლებლის ავტორიტეტულობას.

თუ ნათქვამს შევაჯამებთ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სრული პორტრეტის წარმოსაჩენად აუცილებელია, გავითვალისწინოთ მისი ინდივიდუალობა, ხასიათი, ნიჭიერება, საქმიანობა-მოღვაწეობის სტილი; აგრეთვე ის, თუ როგორ ფლობს იგი იმ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ღირსეული მომავალი თაობის აღზრდისათვის, მისი ჰარმონიული, ფიზიკური და სულიერი განვითარებისთვის.